



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელენე კალანდაძე

წევრები:

გიორგი ნებიერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ;

თამარ ოღლიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მარიამ ლეკიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

თამარა ჩიმაკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა გერგაია-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ეკატერინე კვირკველია

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235 443 926

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მარტვილის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინჩხური
ფაქტობრივი მისამართი	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინჩხური
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	inchkhuri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577299412

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება (14/07/2023 წ.) MES 9 23 0000885170
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15-16 აგვისტო 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	მარტვილი, სოფელი ინჩხური



2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	მარტვილი, სოფელი ინჩხური
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	მარტვილი, სოფელი ინჩხური

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 15-16 აგვისტოს სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის საქმიანობა არაფორმალური განათლების მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შექმნილია შემდეგი კლუბები: „მწვანე გარემო“; სამეწარმეო კლუბი „For you“; სამოქალაქო კლუბი „თანასწორობა“. აღნიშნული კლუბების მეშვეობით ხორციელდება მრავალი აქტივობა და პროექტი, რომელშიც სრულად მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება.

სკოლა ჩართული იყო ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2021_ში. აღნიშნულ კონკურსში ეკო-კლუბი „მწვანე გარემო“ ფინალურ ეტაპზე ეტაპზე გავიდა და შესაბამისი სერტიფიკატით დაჯილდოვდა. გარდა ამისა, Junior Achievement – Georgia-ის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი _ იყავი მეწარმე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ერთ-ერთი მოსწავლის ბიზნეს-გეგმა დაფინანსდა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სასკოლო საზოგადოებისა და თემის საჭიროებაზე მორგებული პროექტების განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია სასკოლო

საზოგადოების ერთობლივი პროექტები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო სასწავლო-შემეცნებით ონლაინ პლატფორმებთან.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	--

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა <i>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</i>
მოსწავლეთა რაოდენობა: 200	☒	ასრებული მდგომარეობით, სკოლის საინფორმაციო სისტემაში - eSchool - ში ირიცხება 140 მოსწავლე. გამომდინარე იქედან, რომ სკოლაში სულ 11 საკლასო ოთახია, 200 მოსწავლის განთავსება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სკოლა იმუშავებს ორცვლიანი რეჟიმით.
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტების ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა მეტწილი შესაბამისობით.



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს	სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ხედვა, რომლითაც განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს. შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (10/15/2023 - მდე)
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლამ, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშაოს მისია, ხედვა და ღირებულებები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (10/15/2023 - მდე)
ინდიკატორი N1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვის და ღირებულებების, გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (11/7/2023- მდე)
ინდიკატორი N1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლამ უზრუნველყოს დამტკიცებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (11/20/2023-მდე)
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას,	სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების



	ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	გეგმა, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (12/12/2023 - მდე)
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ასევე შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (12/25/2023 - მდე)
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლამ შრომითი ხელშეკრულებები მოიყვანოს შესაბამისობაში თანამდებობრივ ინსტრუქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9/7/2023- მდე)
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში	სკოლამ უზრუნველყოს;



	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	1. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. 2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, 3. დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.05.2024 - მდე)
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (12/25/2023 - მდე)
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ უზრუნველყოს ინფორმაციის განთავსება ვებგვერდზე, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (12/25/2023 - მდე)
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები,	სკოლამ განათავსოს ვებგვერდზე ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის



	სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (12/25/2023 - მდე)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებასთვის, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9/15/2024- მდე)
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებასთვის, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9/15/2024- მდე)
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებასთვის, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9/15/2024- მდე)

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა



ინდიკატორი N3.4.1.1.	1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
ინდიკატორი 3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;	სკოლამ შეიმუშაოს წესი ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე შეიცვალოს საგნობრივი კურიკულუმების პროექტებში/სამუშაო ვერსიები I-II კლასებში

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა
--------------	--------------------	-------



	(საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მე-11 კლასის სასკოლო კურიკულუმები შემუშავდეს 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ: რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ (პირველ სტანდარტთან მიმართებაში-1.1.1.2; 1.1.1.3; 1.1.1.4; 1.1.1.5; 1.2.1.2; 1.2.1.4; მესამე სტანდარტთან მიმართებაში 3.1.1.1; 3.4.1.1. 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5; მეორე სტანდარტთან მიმართებაში - დაწყებით საფეხურზე 2.2.; საბაზო საფეხურზე -2.2.; საშუალო საფეხურზე- 2.2. ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და მოიცავს შემდეგს: მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესს; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესს; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს; მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცლილების შეტანის პროცესს; სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესს. სკოლამ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა 2022 წლის 7 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტი, რომელშიც დეკლარირებულია, მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს 21-ე საუკუნისათვის საჭირო კომპეტენციები. სკოლის მოქმედი მისია თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში



გვხვდება ორი სხვადასხვა ჩანაწერი მისიასთან დაკავშირებით. პირველ შემთხვევაში წარმოდგენილია მისია, რომელიც ორიენტირებულია 21-ე საუკუნის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე, მათში ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაზე. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და რა თქმა უნდა ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მსგავსი ჩანაწერი აღარ იქნებოდა.

სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე, სკოლის დირექციამ საჭიროდ ჩათვალია გადაიხედოს მოქმედი მისია და შემუშავდეს შესაბამისი ხედვა, რაზეც სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა. აღნიშნული მიზნით სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებზეც გადანაწილებულია შესასრულებელი ფუნქციები. **1.1.1 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. ვინაიდან სკოლა მუშაობს ხედვაზე, ვერ შეფასდება სკოლა ხედვით განსაზღვრავს თუ არა სკოლის როლს როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 9/5/2023-10/15/2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ დაამტკიცოს ხედვა, რომლითაც განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.
3. სკოლამ წარმოადგინა მოქმედი მისია და განმარტა, რომ აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მისიის შემუშავების მეთოდოლოგია გარკვეული სახის პრაქტიკა, კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა იდეები, თუ რა უნდა ყოფილიყო სკოლის პრიორიტეტი და ეს იდეები სასკოლო საზოგადოებისთვის გასაცნობად გადასცა სკოლის მისიასა და ხედვაზე მომუშავე ჯგუფს. მაგალითისათვის სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023 წლის 2 აგვისტოს ბრძანება 2/31 მისიისა და ხედვის განაცხადზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში სკოლის ღირებულებებზე არაფერია ნახსენები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 9/5/2023 -10/15/2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშაოს მისია, ხედვა და ღირებულებები.



4. სკოლის მოქმედი მისიის გაზიარება სკოლის მიერ განხორციელდა კლასის დამრიგებლების მეშვეობით, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის სკოლის მისიის გაზიარებას. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრის დამადასტურებელი მასალები/ოქმები, სადაც ასახულია ინფორმაცია მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და გაზიარების შესახებ. ვინაიდან სკოლა ამ ეტაპზე მუშაობს სკოლის ხედვასა და ღირებულებების შემუშავებაზე. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 10/16/2023 - 11/7/2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის.
5. სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია გამოკრული საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. რაც შეეხება სკოლის ხედვასა და ღირებულებებს, ვინაიდან აღნიშნული დახვეწის პროცესშია და ჯერ არ არის სკოლის მიერ დამტკიცებული. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 11/10/2023 - 11/20/2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს დამტკიცებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, 1.1.1 (6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
2. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია სკოლის მოქმედი მისია;
3. საჯარო რეესტრის ამონაწერი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია აღწეროს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები, მოთხოვნების და სამუშაო პროცესები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად შემუშავებული უნდა იყოს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასევე, განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის დირექტორის მოადგილე, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, ჯგუფის შეხვედრების ადმინისტრირებასა და სხვა საქმიანობის მხარდაჭერას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორი ქმნის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მისიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. აღნიშნული ბრძანებითვე ჯგუფის წევრებზე გადანაწილებულია შესასრულებელი ფუნქციები. აგრეთვე სკოლას წარმოდგენილი აქვს ოქმები, სადაც ასახულია ინფორმაცია, თუ როგორ, რა ფორმით არის სასკოლო საზოგადოება ჩართული სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. კერძოდ, სასკოლო საზოგადოება ეცნობა გეგმების სამუშაო ვერსიებს (პროექტს), შემდეგ განიხილება საჯაროდ, მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას, რომელიც აისახება ოქმებში და შემდეგ სტრატეგიულ გეგმაში.

შესაბამისად, დადგინდა, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და 1.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არ შეესაბამებოდა ავტორიზაციის ახალ სტანდარტს, რადგან დოკუმენტში არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული სკოლის სტრატეგიული მიზნები, განხორციელების ვადები, განხორციელების ინდიკატორი და პასუხისმგებელი პირები. ვიზიტის



განმავლობაში ვერ იქნა წარმოდგენილი საბოლოო სახით ჩამოყალიბებული და დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობელთა კრების, სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლებშიც განხილულია სკოლის სვოტ ანალიზი მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე, ასევე სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის დაგეგმვა. ასევე, სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მისიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. აღნიშნული ბრძანებითვე ჯგუფის წევრებზე გადანაწილდა შესასრულებელი ფუნქციები. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სკოლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შემუშავებული და დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 11/20/2023 -12/12/2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.

3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა.თუმცა გამოდინარე იქიდან, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, არ არის შემუშავებულიყო შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით. 1.2.1 (3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.
4. სკოლას აქვს დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა ვერ დგინდება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 12/13/2023 - 12/25/2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ასევე შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული გეგმა 2023-2030;
2. ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
4. ოქმი №1 დირექტორის შეხვედრა სასკოლო საზოგადოებასთან
5. შეხვედრის ოქმები მშობლებთან და საგნობრივი კათედრის წევრებთან

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც შემდეგ ძირითად პრინციპებზე: 1. თანამონაწილეობა; 2. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება; 3. გამჭვირვალობა; 4. ანგარიშვალდებულება რომელიც მოიცავს გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2 წელიწადში - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით. გარდა ამისა მეთოდოლოგია ითვალისწინებს ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, კერძოდ სკოლა განახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო



გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და 1.2.2 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2(2) ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;
3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2(3) ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;
4. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2(4) ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სტრატეგიული დაგეგმარების მექანიზმების დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ექთანი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, დარაჯი, დამლაგებელი, აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/ პირების თანამდებობრივ ინსტრუქციებში და ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულებებში განსაზღვრული უფლება-მოვალეობები და სტრუქტურული ერთეულების/ პირების თანამდებობრივი ინსტრუქციები არ არის იდენტური. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია გასულ წლებში და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციებით შესრულების ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა შრომითი ხელშეკრულებები შეესაბამებოდეს სტრუქტურული ერთეულების/ პირების თანამდებობრივ ინსტრუქციებს. აგრეთვე წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სრულყოფილად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მე-11¹ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რაც გულისხმობს წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულებაში მინიმუმ 4 სავალდებულო ფუნქციას აღნიშვნას. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა გრაფიკული სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, 7 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მათ მიერ შექმნილი კლუბები. სკოლის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდებით“.



სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსით. როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რეგარეშე საკითხებს. შედეგად დგინდება, რომ სკოლას მკაფიოდ არ აქვს განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები, ასევე, არსებული დოკუმენტაცია საჭიროებს დახვეწას და შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 9/1/2023 - 9/7/2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შრომითი ხელშეკრულებები მოიყვანოს შესაბამისობაში თანამდებობრივ ინსტრუქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, სტრუქტურული ერთეულების ოქმებით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით დგინდება, რომ ისინი საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, 3.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები;
2. სტრუქტურა;
3. შრომითი ხელშეკრულებები;
4. სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. კონკურსის მასალებით, დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგინდა, რომ ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, 3.1.2(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და



შეწყვეტის წესით. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, 3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულებით დადგენილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/6 ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომელიც შედგებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. გარდა ამის, პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ, თუმცა 2020 წლის შემდეგ დანიშნულ მასწავლებელთა პირად საქმეებში ასევე წარმოდგენილია ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. შესაბამისად, 3.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სულ დასაქმებულია 33 თანამშრომელი, აქედან 23 მასწავლებელია, 22 მათგან აქვს შესაბამისი სტატუსი, ხოლო



- 1 მასწავლებელს (მე-2 უცხოური ენა - გერმანული) სტატუსი არ უფიქსირდება. სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (<https://teacherjobs.ge/>) გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი 2022 წლის 7-11 სექტემბერს უცხოური ენის (გერმანული) მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე, თუმცა კონკურსის შედეგად ვერ შეირჩა შესაბამისი კანდიდატი. სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის, დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეღო შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებელი აღნიშნულ პოზიციაზე. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონკურსი გამოცხადებული ჰქონდა ექიმის პოზიციაზე, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი“ ვერ მოიძებნა. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი. **3.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავენ თვითმმართველობის ქცევის წესს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს.



სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, 3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება წინასწარ შემუშავებული გრაფიკი, რომელშიც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით უკავშირდებიან და თანამშრომლობენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგებთან; პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას („კრიტიკული მეგობარი“), და პროქტ – გაკვეთილებს.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: დღესასწაულთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებლის ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი

2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
4. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების დამტკიცების ბრძანება
5. შრომითი ხელშეკრულებები;
6. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის



უზრუნველყოფის დებულებით”. დებულებაში გაწერილია დებულების მიზანი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა, ჯგუფის წევრების მიერ გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების წესი, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. აღნიშნული დებულება ადგენს, რომ მასწავლებლის შეფასება ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღწერითი ან ფოკუსირებული დაკვირვების სქემა. ამავე მუხლით განსაზღვრულია მასწავლებლის სტატუსების მიხედვით გაკვეთილზე დასწრების ინტენსივობა. გაკვეთილზე დასწრებას ახორციელებს ჯგუფის მინიმუმ 2 წევრი. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად მასწავლებელს ეძლევა წერილობითი განმავითარებელი შეფასება.

გარდა გაკვეთილზე დაკვირვებისა, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხორციელდება 4 მიმართულებით: ა) მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის შეფასება; ბ) საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასება და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასება; გ) პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებლის აქტივობების/სტრატეგიების შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; დ) ხელშეკრულებით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით და პროფესიული განვითარების სქემის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროფესიული აქტივობების შეფასება. სკოლის დირექტორთა გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები ავსებენ დაკვირვების ფორას, მასწავლებლები კი ავსებენ თვითშეფასების ფორმას. დაკვირვების ფორმისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე დგინდება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საჭიროება.

სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე მექანიზმები. განსაზღვრულია შეფასების მნიშვნელობა, შეფასების გავლენა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შეფასებაში ჩართული პირები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში ასახვის ფორმები.

ვინაიდან სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, 3.2.1

(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;

2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავრორიზაციას 3.2.1 (2) ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან



სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: მოქნილობა, სწავლის მხარდაჭერა, შეფასება, როგორც სწავლის საშუალება, პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა, უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: 1. მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; 2. შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; 3. „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულყოფილებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის წარდგენა კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, რა დროსაც ახალ თანამშრომელს გააცნობენ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის სპეციფიკას და სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებსა და წესებს. საქმისწარმოებლის და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწვევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშრომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უწყობს ხელს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. წარმოდგენილი დოკუმენტით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა, შესაბამისად, 3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების განვითარების დოკუმენტებში არის აღწერილი თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა შესაბამისად, 3.2.1(5) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
2. „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება”
3. ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების მექანიზმების (31.07.2023, ბრძანება N02-59);
4. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. ვინაიდან სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, შესაბამისად, **3.3.1(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სკოლის ფილოსოფიის რევიზიის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, თანამშრომლის მიღების წესი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისად, **3.3.1(2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს. თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**



4. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების თაობაზე;
3. თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
4. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი



საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე. სკოლა ატარებს ანონიმურ გამოკითხვებს, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევს მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები, სკოლას კი საშუალება ეძლევა მიიღოს უკუკავშირი და დაგეგმოს გასაუმჯობესებელი ნაბიჯები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმით დგინდება, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სკოლის ფეისბუქ გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ აქტიურად იყენებს ინფორმაციის განსათავსებლად, აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.2(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემჯამებელი დავალებების ანალიზს.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება **სამუშაო ჯგუფი (ისგ),** რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.



ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, 3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
2. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში გასატარებელი ცვლილების შესახებ ბრძანება N2/3 (18.02.2022)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი, რომელსაც გავლილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგი.

სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 06 ივლისის 22300000836519 კორესპონდენცია, რომლითაც მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსების გამოყოფის მიზნით, რადგანაც სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი და მას არ აქვს 08.11.2022 წლის სახანძრო უსაფრთხოების,საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N459 თანახმად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ფინანსური რესურსი.

სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით (შენობის მდგრადობა), დაწესებულებამ მიმდინარე წლის 19 ივლისს წერილობით N 8 23 0000902854 მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას პასუხი მიღებული არ ჰქონდა.

სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას.

აგრეთვე სკოლას მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, ვინაიდან სკოლას არ გააჩნია საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, ვერ დგინდება შენობის ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა). სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 7/5/2023 - 15.05.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს: დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან; დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი. სკოლას შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, შესაბამისად **3.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის შექმნას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც. შესაბამისად **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას.

სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად

3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს საქმისწარმოებელი რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე. **3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **3.4.1.7. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
2. წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების პირობების შემოწმების მიზნით.
3. წერილი ექსპერტიზას შენობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების მიზნით.
4. დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ N2-57(31.07.2023)
5. დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება.
6. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ სართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის(2021 წლის) ამონაწერის მიხედვით, სკოლის შენობა განთავსებულია 17 700 .კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობის საერთო ფართი - 855.26 კვ. მ -ია (ნაგებობა N1). სკოლის ეზოში განთავსებულია საქვაბეც (ნაგებობა N2). უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N 41.13.33.014. სკოლის შენობა დაწესებულებას გადმოცემული აქვს უვადო სარგებლობის უფლებით (მესაკუთრე - სახელმწიფო).

სკოლაში სულ 11 საკლასო ოთახია, რომელთაგანაც ყველას აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. სკოლის შენობაში არის ლაბორატორიები (საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული), ექთნის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის კაბინეტი და სამასწავლებლოს, რესურსოთახი, გარე სპორტული მოედანი და სხვა დამხმარე სივრცეები. სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილიც.**3.5.1.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას

სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის. **3.5.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში არის პანდუსი, ორივე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეორე სართულზე ასასვლელი კიბეები არ არის ადაპტირებული, თუმცა შენობის პირველ სართულზე ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შესაბამისად **3.5.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ფოიეს და დერეფნებს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. **3.5.1.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები.

ისტ-ის მიმართულებით: მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები (29 ლეპტოპი).

სპორტის გაკვეთილებისთვის- სკოლის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი, ბუნებრივი ბალახის საფარით, თუმცა სკოლაში არ არის სპორტული დარბაზი, რომელიც უამინდობის დროს გამოყენებულ იქნება სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.

საბუნებისმეტყველო მიმართულებით:

სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია გამწოვი სისტემებით. ლაბორატორიული სამუშაოებისთვის განკუთვნილი სადემონსტრაციო მაგიდები უზრუნველყოფილია ინდივიდუალური წყლის ონკანებით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას აქვს დამხმარე ოთახი, სადაც კარადებში და ყუთებში განთავსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. ქიმიური რეაქტივები მარკირებულია და

ინახება წესის შესაბამისად. ლაბორატორიაში არის ყველანაირი პირობა, კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად. **3.5.1.5.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები);
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;



2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის.

საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოებელი.

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა, კერძოდ 29 ლეპტოპი, ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. თუმცა სკოლას არა აქვს შემუშავებული გარკვეული წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს (შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე) და შეზღუდვებს (დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის) სკოლას მიეცა რცევა შეიმუშაოს ზემოთ აღნიშნული წესი.

3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისწარმოებელი,

3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციასთან ერთად მოქმედებს მატერიალური რეგისტრაციის ჟურნალებიც, რომლებიც დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. **3.6.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: inchkhuri@mes.gov.ge , სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიღება. **3.6.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე. შესაბამისად **3.6.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება მარტვილის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.**3.6.2.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები;
- Eschool -ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლამ, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: <https://skolebi.emis.ge/>, წერილში აგრეთვე მოცემულია ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ასახოს სკოლამ ინფორმაცია პროფილზე. ვიზუალური დათვალიერებით, სკოლას დაწყებული აქვს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება, თუმცა ამ ეტაპისათვის ის ვერ ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის მუშაობის დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 7/17/2023-12/25/2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით.
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. 3.6.3.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი 3.6.3.3. ვერ იქნება შეფასებული;
4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი. სკოლას დაწყებული აქვს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება, თუმცა ამ ეტაპისათვის ის ვერ ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად

მითითებულია 7/17/2023-12/25/2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება.

5. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დამღევის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ასევე განსაზღვრულია გასაჩივრების მექანიზმები, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ზემოაღნიშნული ინფორმაცია არ იყო განთავსებულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში და არ იყო გამოკრული სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა

3.6.3.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 7/17/2023-12/25/2023.

შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდზე შემდეგი ინფორმაციის განთავსება: ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება **3.7.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს

სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება - სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია



1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლას ჰყავს დარაჯი, მორიგე მასწავლებლები. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია და დამტკიცებულია სკოლის მიერ. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **4.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. **4.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. **4.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მშობელთა კრების ოქმი
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
5. სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა ბრძანებით გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამღევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. მოწესრიგებული აქვთ მოსწავლეთა პირადი საქმეები. **4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სოციალურ ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი **4.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საქმისწარმოებელი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებს შექმნილი აქვთ

დახურული ჯგუფები, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. მომავალ წლებში სკოლა გეგმავს კითხვარების შემუშავებას სასურველი თემების განხილვის მიზნით. 4.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

დამრიგებლის დებულება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;



5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული არ აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, თუმცა, სკოლის მიერ მოწოდებული დამრიგებელთა ანგარიშებით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება პირველკლასელთა მშობლებსა და მოსწავლეებს, აცნობს სასკოლო გარემოს, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების ნაწილში. სკოლას მიეცა რჩევა შეუმუშაოს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, აგრეთვე სხვა სკოლიდან გადმოსული და უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მოსწავლეების შემთხვევებში ადაპტაციის წესი. **4.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ საშუალება, დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრებისა და აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ცხადდება კონკურსი ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების

შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. **4.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დამღევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. **4.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები: „მწვანე გარემო“ – აღნიშნული კლუბი ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2021-ის ფინალისტია; სამეწარმეო კლუბი „For you“ ახორციელებს მრავალ პროექტს და აქტივობას. კლუბი შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია Junior Achievement – Georgia -ის მხარდაჭერით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა პროექტი _ „იყავი მეწარმე“, ხოლო ერთ-ერთი მოსწავლის ბიზნეს-გეგმა დაფინანსდა 1500 ლარით; სამოქალაქო კლუბი „თანასწორობა“ აქტიურად მუშაობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კუთხით და აწყობენ სხვადასხვა აქტივობებს როგორც სკოლის, ასევე მუნიციპალიტეტის მასშტაბით. კლუბები ახორციელებენ დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლა ფართის სიმცირის გამო მოსწავლეებს ვერ სთავაზობს დამატებით წრეობრივ მუშაობას და კვების ბლოკს, თუმცა სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. **4.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.1.6 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დამრიგებლის სამუშაო დებულება;
2. სადამრიგებლო პროგრამები;
3. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაცია - დამრიგებლის ანგარიში;
4. კლუბის დებულებები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროგრამა, რომელშიც გაწერილია ყოველთვიური აქტივობების გეგმა. გარდა ამისა, კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება ბავშვებს სხვადასხვა პროფესიაზე. კლასის საათის მიზანი იქნება ქვეყნისათვის საჭირო პროფესიის პოპულარიზაცია. აგრეთვე სკოლა გეგმავს სოფლის მოსახლეობაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანების საქმიანობის კვლევას და მათი პროფესიის პოპულარიზაციას. პერიოდულად იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანების მოწვევა და საუბარი მათ პროფესიაზე, პროფესიის პოპულარიზაციის მიწინააღმდეგ. აგრეთვე დაგეგმილია მოსწავლეთა ვიზიტები სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში. **4.2.2.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. აგრეთვე სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სთავაზობს სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას.

4.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 4.2.2.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა;
2. სადამრიგებლო პროგრამა;
3. ადმინისტრაციასთან გასაუბრება;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული

მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ეწყობა შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლა. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების საქმეებზე გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორი 4.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და დეტალურად გაეცნენ მის საქმიანობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მუდმივად ხორციელდება სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. სპეც. მასწავლებელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სსსმ მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებსა თუ კონფერენციებში. **ინდიკატორი 4.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსსმ გეგმა

2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

3. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.



1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება;
2. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;
3. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება





ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლეებზე დაკვირვებით ხორციელდება. ამიტომ მომავლისთვის გაწერილი აქვთ მეთოდოლოგიაში ის ინსტრუმენტები, რითაც მეტი სიზუსტით დაადგენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დაწყებითი საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი,

გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოსაყრელად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ იმ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებმაც სათანადო შედეგი ვერ მოიტანა კლასისთვის და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. **ინდიკატორი**

2.1.1.1. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მართალია, ამ ეტაპზე კურიკულუმში არ ჩანს, რომ იგი იმ სახით, რა სახითაც კოლეგებმა წარმოადგინეს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების შეჯერებით იქნა მიღებული, მაგრამ წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები, კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემათა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები, რეფლექსიები და ა.შ.).

ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ,

პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. **ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნულ პროცესში.

კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ.

თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, ხოლო გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები, შესაბამისად **ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა კრების ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი I-VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ და მე-2 კლასში ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში ველი - „საკითხი / საკითხთა კლასტერი“ და „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებზე მუშაობისთვის“ არაა შევსებული. მასწავლებელთა განმარტებით, ეს გამოიწვია სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესმა. საინტერესო კონტექსტ-მაგალითებითა და სასწავლო ელექტრონული რესურსებით დატვირთული V კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში არის ხარვეზი, თემაში - „კოსმოსი“ გამორჩენილია სამიზნე ცნება „გეოგრაფიული ობიექტი“. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს. სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით პედაგოგები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე შეიცვალოს საგნობრივი კურიკულუმების პროექტებში/სამუშაო ვერსიები, ყველა დეტალი დაიხვეწება და კურიკულუმები მიიღებს სრულყოფილ სახეს. შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. დაწყებით საფეხურზე I-VI კლასების საგნობრივ კურიკულუმებში, თემის ფარგლებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) განვითარებას. მოსწავლე შეძლებს - ამოცნობას, შედარებას, პრობლემის დანახვას, მსჯელობას, დასკვნის გაკეთებას, პასუხისმგებლობის გათავისებასა და თვითშეფასებას. დავალების ბოლოს მოსწავლე გააკეთებს პრეზენტაციას, ააწყობს სქემას, შექმნის - მოდელს, ბუკლეტს, კომიქსს. შესერულებულ მასალას მოსწავლე გადმოსცემს სხვადასხვა ფორმით. შედეგად სწავლა-სწავლების პროცესი იქნება მრავალფეროვანი და შემოქმედებითი. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი/ები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები), **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სასწავლო პროცესი საგნებში დაგეგმილია და წარმართება მოსწავლეების ინტერესების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ეს დასტურდება ავტორიზაციის მასალებში წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, რომელიც შექმნილია დაწყებითი საფეხურის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებს ეძლევა შესაძლებლობა მოდიფიცირება გაუკეთონ აქტივობებსა და დავალებებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შექმნან ისეთი სასწავლო გარემო რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ მათი სასწავლო პოტენციალი. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს დაწყებითის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებული მიდგომებს. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის ისე გეგმების შემუშავება მოხდება ესგ- ით მითითებულ ვადებში. შედეგად, დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსურ დავალებებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები. 2022-2023 სასწავლო წლის მოსწავლეთა შეფასების გეგმაში მიმდინარე განმავითარებელ შეფასებად სკოლა მიიჩნევს სიტყვიერ კომენტარს. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება კი ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრების მიერ საგანში გასავითარებელი უნარების მიხედვით შედგენილი რუბრიკებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ

მასალებში ასახულია V კლასის განმსაზღვრელი შეფასების ახალი რუბრიკა. I-IV კლასის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ურთიერთთანამშრომლობითა და გავლილი ტრენინგების საფუძველზე 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავებენ და დანერგავენ განმავითარებელი შეფასების ახალ რუბრიკებს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი 2.1.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. წარმოდგენილი კურიკულუმების, თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების, მასწავლებლებთან ინტერვიუებისა და კათედრის სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კურიკულუმის დაგეგმვი პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც გულისხმობს მასწავლებლების მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების გადამუშავებას და წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმში გაუმჯობესებული ვერსიის ასახვას. ავტორიზაციის მასალებში წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ: „შუალედური სასაწავლო მიზნებზე მსჯელობა უკავშირდება კურიკულუმის დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება: საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა)“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. **ინდიკატორი 2.1.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის ;
- მასწავლებელი თვითშეფასება;
- 2022-2023 სასაწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, რაც ხელს შეუშლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებს სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო).

(საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2 კომპონენტთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 9/21/2023-9/15/2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებასთვის.

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სასწავლო პროცესში შეთავაზებულია ისეთ აქტივობები, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამდაგვარდ შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს. სასურველია, სამივე საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.2.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩოები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება V-VI კლასებში სარეკომენდაციო თემების, მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით

იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, „გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე.

ინდიკატორი 2.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. თემატურ მატრიცებში წარმოდგენილი აქტივობები და საკვანძო შეკითხვები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე. მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა აქტივობებს, რათა მოსწავლემ თავად შეიმეცნოს ახალი იდეები, შეძლოს მოცემული ინფორმაციის დახარისხება საჭირო მონაცემების ამოკრება და სწორი გადაწყვეტილების გამოტანა. კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესები სწორედ სწავლის-სწავლაზე არის ორიენტირებული რათა გათვალისწინებულია მოსწავლი შინაგანი მოტივაციის ზრდის აქტივობები, ამ პროცესებში ხელისშემწყობია დიფერენცირების სწავლების მიდგომები, სადაც ხდება სასწავლო მასალის დიფერენცირება, დროის, რესურსების. სასწავლო კურიკულუმებში ძირითადად აქცენტი კეთდება სწავლა-სწავლების მართებულ ხერხებსა და მიდგომებზე. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე. სასწავლო პროცესში ძირითადი აქცენტი კეთდება სწავლის სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი 2.2.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მასწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, ამისთვის უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა მათემატიკურ სქემას.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. გამოხატული მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს. გამომდინარე აქედან, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). მასწავლებელთა პორტფოლიოებში ასახული მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებებიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ააქტიურებს სამივე სახის ცოდნას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში და სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ საგაკვეთილო პროცესში ცდილობენ აქტიურად დანერგონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპები და მათ შორის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ცალკეულ საგნებში კურიკულუმის ჩარჩოს სამომავლოდ დახვეწის საფუძველზე შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; (დრაფტ-ვერსია)
- დაწყებითი კლასების კურიკულუმი;
- კათედრის ოქმი;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გეგმის ნიმუში



2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს (I -VI კლასები) მიხედვით და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, ერთობლივად ხდება კურიკულუმებზე მუშაობა, განხორციელებული კომპლექსური დავალებების გაანალიზება და კურიკულუმების შერჩევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება და კავშირი სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. გასაუბრებისას დაასახელეს დავალებები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს, მოსწავლემ, ერთი მხრივ, მიიღოს კონკრეტული ცოდნა, მეორე მხრივ, განაზოგადოს და განსხვავებულ კონტექსტებშიც გადაიტანოს ის. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, რაც მოტივაციას ზრდის და თავდაჯერებულობას მმატებს მოსწავლეს. მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები ერთგვარ დამხმარე რგოლს, ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ „მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ხელს უწყობენ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, აგრეთვე არაფორმალური განათლების ფარგლებში: პროექტებით, კლუბური და საწრეო საქმიანობით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში.“ **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ კუთხით ბევრი აქვთ სამუშაო. ამიტომ ისე დაგეგმავენ კომპლექსურ დავალებებს, რომ სისტემა იძლეოდეს შესაძლებლობას ხელი შეუწყოს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას. მათემატიკა, ისტ და საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმიდან ვკითხულობთ: „მასწავლებლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ფარგლებში გათვალისწინებული შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებით ეტაპობრივად დაინერგება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის პრინციპებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც სკოლის თითოეული მოსწავლის მიღწევები აღიწერება სამიზნე ცნებებთან მიმართებით კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, მოსწავლეებმა იციან თუ რაში შეფასდებიან ისინი, ამას მოწმობს არსებული რუბრიკები, რომელთა შესახებ მათ წინასწარ იციან. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, „სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კრიტერიუმი და რუბრიკები არის გამჭვირვალე, იგი ცნობილია მოსწავლეებისათვის და

მასწავლებლებისათვის“ ინტერვიუში განაცხადეს, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრას წარუდგენს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაციას, რომელშიც მოცემულია დავალების ნომერი, პირობა და საგნის სტანდარტის ის შედეგი, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული დავალება. ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული რამდენიმე დავალების ნიმუში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, რომელიც წინასწარაა შემუშავებული, სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნიან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. **ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სტრატეგიული გეგმა, სადაც გაწერილია ზოგადად განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს ვერიფიკაციის დებულება. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: „სკოლაში ვახდენთ შეფასების სიზუსტის დადგენას, გვაქვს მექანიზმები, რომელიც ხელს უწყობს შეფასების სისტემის ხარისხის დადგენას, ძირითადად ეს არის სემესტრული გამოცდების მოთხოვნების შესწავლა, კათედრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მშობელთა უკუკავშირი. **ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქმისწარმოების დებულების თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის ოქმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლის შეფასების სტრატეგიული გეგმა
- სასწავლო პროექტები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტები: მადიებლის თვითშეფასება, სასწავლო გეგმა რომელშიც გაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სწავლა-სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდური ორიენტირები, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო.

სკოლის მიერ შემუშავებული სწავლა - სწავლების მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეებში ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარების აუცილებლობას.

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას. სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს სოლიდარობის განცდის, განსხვავებულის მიმღებლობისა და საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების ღირებულებები. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი მახასიათებლებით და ეს გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ

სასწავლო პროცესი იყოს ინტერაქციული და მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს და მის კავშირს სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებასთან. კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ შედგენილი საგნობრივი პროგრამები აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდის საშუალებას.

სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე. კათედრების მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს.

აღსანიშნავია, რომ სკოლას არ გააჩნია სააქტო დარბაზი თუმცა აქვს ორი დიდი სივრცე სადაც ტარდება სასკოლო ღონისძიებები. ასევე არ გააჩნია სპორტული დარბაზი, აქვს მხოლოდ სპორტული მოედანი სკოლის ეზოში, როგორც ინტერვიურებისას აღნიშნეს ცუდ ამინდებში სკოლის გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებით საფეხურზე ყველა საგნის კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება და მოდიფიცირებული სწავლების მეთოდის აქტიურად გამოყენება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაცია, სოციალურ მუშაკებთან ინფორმაციის გაზიარება გამოსავლის მოძებნის მიზნით, პრობლემებთან ჩაღრმავება იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით.

სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. გათვალისწინებულია, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ინტერესებით, სწავლის სტილი. ასე, მაგალითად მოსწავლეები ინტერესების მიხედვით გაერთიანებული არიან სხვადასხვა კლუბებში და წრეებში, ირჩევენ საპროექტო თემატიკას, არჩევითი საგნები და მათთვის სასურველი უცხოურ ენას მე-5 კლასში. გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დიფერენციული მიდგომა.

სკოლაში ფუნქციონირებს ქართულის წრე სადაც გაწევრიანებულები არიან დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები.(წრის მიზანია:სასწავლო გეგმით განსაზღვრული საპროგრამო მასალის მიხედვით გრამატიკაში რაც შეიძლება მეტი ცოდნის დაგროვება რაც მომავალში გახდება სწორად წერისა და მეტყველების საწინდარი.) ასევე სკოლა ახორციელებს პროექტს დაწყებით საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების წესი-„ჯანმრთელობა ყველაფერია, ყველაფერი არაფერია ჯანმრთელობის გარეშე.

სწავლების დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია, დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. უვითარებს მოქალაქეობისა და პასუხისმგებლობის თვისებებს და ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო , ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.

სკოლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოიყენება შესაბამისი და მრავალფეროვანი წყაროები, რაც განსაზღვრულია საგნობრივ კურიკულუმებში. წარმოდგენილი მე-12 დოკუმენტით ირკვევა, რომ სკოლა ეცდება კიდევ უფრო დახვეწოს სასწავლო კურიკულუმები. **ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლა ახორციელებს მშობლებთან თანამშრომლობის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (ანკეტური გამოკითხვა,მშობლის უკუკავშირი). მშობლები აქტიურად არიან ჩართული და დახმარებას უწევენ მოსწავლეებს საკლუბო და საპროექტო საქმიანობაში, კერძოდ ლიდერობის კუთხით დემოკრატიული კულტურა მიმართულებით განხორციელებული პროექტი „თორმეტი ნაფიცი მსაჯული“ (სიმულაციური სასამართლო პროცესი) მონაწილე მოსწავლეთა კოსტუმები მშობლების მიერ იქნა დამზადებული.

ინტერვიუს შედეგადაც გამოვლინდა, რომ კათედრის წევრებს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკუთხებთან დაკავშირებით.

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თვითმმართველობასთან ერთად გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს მოსწავლეთა წახალისების მიზნით.

სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სასკოლო გეგმის ანალიზით ირკვევა, რომ კათედრები იკრიბებიან რეგულარულად მნიშვნელოვან საკითხებზე სამსჯელოდ და გადაწყვეტილებების მისაღებად. კათედრები თავიანთ ფუნქციებს შორის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად გამოკვეთენ საგნობრივი ჯგუფების და მასწავლებლების კოორდინირების განხორციელებას. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივ ძიებას. სკოლაში ცალკეული კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ სხვა კათედრებთან თემატიკის შეთანხმებასა და გაკვეთილის ინტეგრირებაზე. **ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე. რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, კერძოდ: შეფასების სისტემა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად; ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა არის გაუმჯობესების მეტი მზაობა. მაგალითად, მუსიკასა და სახვით ხელოვნების მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ ინტეგრირებულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს, მაგრამ როგორც აღნიშნეს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო გეგმა;
- თვითშეფასების დოკუმენტი.
- კურიკულუმები;

- კომპლექსური დავალებები;
- შეჯამების ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
- პროექტები, ფოტომასალა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ

დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორციელების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს. **ინდიკატორი**

2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გაანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულია კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, ანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას, შეაქვტ ცვლილებები კურიკულუმში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც იკითხება რომ, დირექტორი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის ბოლოს მომდევნო სასწავლო წლისათვის ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, სემესტრში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლაში სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და მოსწავლის შემდგომი განვითარებისათვის. სკოლა დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. **ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- მასწავლებლის თვითშეფასების დოკუმენტი
- კათედრის სამუშაო შეხვედრების ოქმები
- შემაჯამებლის ანალიზი
- შეფასების რუბრიკები(განმავითარებელი/განმსაზღვრელი)

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით(კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები. ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. **ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იგეგმება ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, თვითშეფასების, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. **ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალისწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიუს დროს დაფიქსირდა და თვითშეფასების ფორმაშიცაა ასახული, რომ სკოლას აქვს გარკვეული ხედვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, სადაც აღწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის რევიზია. სკოლა გეგმავს კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლასა და მონაცემების მოგროვებას. და როდესაც მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, საგნობრივი კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს – გაკვეთილებზე დაკვირვებას, მასწავლებლების რეფლექსიებს,

განხორციელებული შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს), სკოლა მზადაა შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. ამ მიზნით მასწავლებლები იკრიბებიან კათედრებზე გამოცდილებისა და მიგნებების გაზიარების მიზნით. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას. **ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კოლეგების თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი. და მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის გადამუშავებისა და განახლებისას გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია. გადამუშავებული კურიკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ საკუთარ, ისე კოლეგათა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. პედაგოგები ინტერვიუს დროს საუბრობენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს განიხილავენ კათედრაზე, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, ანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. ამ მიდგომით 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სკოლის წლიური სამუშაო გეგმა
- სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება



- ☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდოლოგიური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით;

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის ფუნქციას ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლეებზე დაკვირვებით ხორციელდება. ამიტომ მომავლისთვის გაწერილი აქვთ მეთოდოლოგიაში ის ინსტრუმენტები, რითაც მეტი სიზუსტით დაადგენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს,

შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საბაზო საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოსაყრელად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ იმ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებმაც სათანადო შედეგი ვერ მოიტანა კლასისთვის და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები, კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები და რეფლექსიები).

ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას.

ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ

კომპლექსურ დავალებებს განახორცილებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, ხოლო გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები, შესაბამისად **ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა კრების ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;



4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა რა მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ათვლის წერტილს წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნები, სასწავლო შედეგები და მოსწავლის პიროვნული განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა საგნებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება. ავტორიზაციის მასალებში ასხული საგნობრივი კურიკულუმი/ები გააზრებულადაა შემუშავებული და ყველა სამიზნე ცნება არის ასახული. თუმცა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი გამოვლინდა ბიოლოგიის საგანში, რაც მოიცავდა:

- მე-8 კლასში თემა: „სიცოცხლის ორგანიზაციის დონეები“ არ უნდა ეწეროს სამიზნე ცნება - „ჯანმრთელობა და დაავადება“;

- მე-8 და მე-9 კლასებში გამორჩენილია სახელმძღვანელოს ავტორი.

სკოლაში ვიზიტის დროს კი აღნიშნულ დოკუმენტებში სახელმძღვანელოების ავტორები ასახული იყო. (პირველად ატვირთულ დოკუმენტებშიც სწორად იყო მითითებული). საბაზო საფეხურის კურიკულუმები პროექტებია/სამუშაო ვერსიებია და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მიიღებს სრულყოფილ სახეს. შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. საბაზო საფეხურზე VII-IX კლასების საგნობრივ კურიკულუმებში, თემის ფარგლებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) განვითარებას. მოსწავლე შეძლებს - ამოცნობას, შედარებას, პრობლემის დანახვას, მსჯელობას, დასკვნის გაკეთებას, პასუხისმგებლობის გათავისებასა და თვითშეფასებას. დავალების ბოლოს მოსწავლე გააკეთებს პრეზენტაციას, ააწყობს სქემას, შექმნის - მოდელს, ბუკლეტს, კომიქსს. შესერულებულ მასალას მოსწავლე გადმოსცემს სხვადასხვა ფორმით. შედეგად სწავლა-სწავლების პროცესი იქნება მრავალფეროვანი და შემოქმედებითი. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმი/ები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები), **ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საბაზო საფეხურის 2022 -2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულ სკოლის ხედვაში პირველ რიგში აქცენტი გაკეთებულია შემდეგზე - „მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის წარმატებით დანერგვა (მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული) კურიკულუმების შემუშავება“. სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებული მიდგომებს. ამის დასტურია 2021-2022 სასწავლო წლის მასწავლებელი თვითშეფასება, სადაც აღნიშნავს, რომ 2022-2023 სასწავლო წლიდან გეგმავს უფრო ეფექტურად გამოიყენოს დიფერენცირებული მიდგომები. ამ ეტაპზე VII-IX კლასებში შემსვლელ საბუნებისმეტყველო დისციპლინების მასწავლებლებს ურთიერთთანამშრომლობით შემუშავებული აქვთ შესაბამისი საგნების კურიკულუმის ჩარჩოს პროექტი. მოსწავლესთან დაკავშირებით ისე გეგმის შემუშავება განხორციელდება ესგ-ით მითითებულ ვადებში. ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობა დაკმაყოფილებულია. შედეგად, დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები შესაბამის საგნებში. 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების შესრულებისას განმავითარებელ შეფასება მიიღეს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის ფორმატით. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში სხვადასხვა საგნების მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები შესაბამის საგნებში. ავტორიზაციის მასალებში მათ უკვე წარმოადგინეს ტრენინგის ფარგლებში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებზე. ზეპირი და წერილობით მიწოდებული ინფორმაცია, კომენტარი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, შედეგების გაუმჯობესებასა და მათ მრავალმხრივ განვითარებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. წარმოდგენილი კურიკულუმების, თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების, მასწავლებლებთან ინტერვიუებისა და კათედრის სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კურიკულუმის დაგეგმვი პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც გულისხმობს მასწავლებლების მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების გადამუშავებას და წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმში გაუმჯობესებული ვერსიის ასახვას. ავტორიზაციის მასალებში წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ: „შუალედური სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უკავშირდება კურიკულუმის დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება: საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა)“. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს და **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები
- მასწავლებელი თვითშეფასება;
- 2022-2023 სასაწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, რაც ხელს შეუშლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებს სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო).

(საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2 კომპონენტთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 9/21/2023-9/15/2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც

„მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებასთვის.

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სასწავლო პროცესში შეთავაზებულია ისეთ აქტივობები, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამდგომარეობით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო,

გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს. სასურველია, სამივე საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება VII-IX კლასებში სარეკომენდაციო თემების, მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, „გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე.

ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. თემატურ მატრიცებში წარმოდგენილი აქტივობები და საკვანძო შეკითხვები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე. მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა აქტივობებს, რათა მოსწავლემ თავად შეიმეცნოს ახალი იდეები, შეძლოს მოცემული ინფორმაციის დახარისხება საჭირო მონაცემების ამოკრება და სწორი გადაწყვეტილების გამოტანა. კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესები სწორედ სწავლის-სწავლაზე არის ორიენტირებული რათა გათვალისწინებულია მოსწავლი შინაგანი მოტივაციის ზრდის აქტივობები, ამ პროცესებში ხელისშემწყობია დიფერენცირების სწავლების მიდგომები, სადაც ხდება სასწავლო მასალის დიფერენცირება, დროის, რესურსების. სასწავლო კურიკულუმებში ძირითადად აქცენტი კეთდება სწავლა-სწავლების მართებულ ხერხებსა და მიდგომებზე. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე.

სასწავლო პროცესში ძირითადი აქცენტი კეთდება სწავლის სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიანთ მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მასწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, ამისთვის უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ სქემას.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. გამოხატული მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს. გამომდინარე აქედან, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). მასწავლებელთა პორტფოლიოებში ასახული მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებებიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ააქტიურებს სამივე სახის ცოდნას. **ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში და სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა

ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ საგაკვეთილო პროცესში ცდილობენ აქტიურად დანერგონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპები და მათ შორის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ცალკეულ საგნებში კურიკულუმის ჩარჩოს სამომავლოდ დახვეწის საფუძველზე შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; (დრაფტ-ვერსია)
- დაწყებითი კლასების კურიკულუმი;
- კათედრის ოქმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გეგმის ნიმუში

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის პოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს (VII-IX კლასები) მიხედვით და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, ერთობლივად ხდება კურიკულუმებზე მუშაობა, განხორციელებული კომპლექსური დავალებების გაანალიზება და კურიკულუმების შერჩევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება და კავშირი სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. გასაუბრებისას დაასახელეს დავალებები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს, მოსწავლემ, ერთი მხრივ, მიიღოს კონკრეტული ცოდნა, მეორე მხრივ, განაზოგადოს და განსხვავებულ კონტექსტებშიც გადაიტანოს ის. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, რაც მოტივაციას ზრდის და თავდაჯერებულობას მმატებს მოსწავლეს. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ „მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ხელს უწყობენ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, აგრეთვე არაფორმალური განათლების ფარგლებში: პროექტებით, კლუბური და საწრეო საქმიანობით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში.“ **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების

მიღწევის ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ კუთხით ბევრი აქვთ სამუშაო. ამიტომ ისე დაგეგმავენ კომპლექსურ დავალებებს, რომ სისტემა იძლეოდეს შესაძლებლობას ხელი შეუწყოს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას. მათემატიკა, ისტ და საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმიდან ვკითხულობთ: „მასწავლებლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ფარგლებში გათვალისწინებული შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებით ეტაპობრივად დაინერგება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის პრინციპებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც სკოლის თითოეული მოსწავლის მიღწევები აღიწერება სამიზნე ცნებებთან მიმართებით კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, მოსწავლეებმა იციან თუ რაში შეფასდებიან ისინი, ამას მოწმობს არსებული რუბრიკები, რომელთა შესახებ მათ წინასწარ იციან. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, „სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კრიტერიუმი და რუბრიკები არის გამჭვირვალე, იგი ცნობილია მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის“ ინტერვიუში განაცხადეს, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრას წარუდგენს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაციას, რომელშიც მოცემულია დავალების ნომერი, პირობა და საგნის სტანდარტის ის შედეგი, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული დავალება. ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული რამდენიმე დავალების ნიმუში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, რომელიც წინასწარაა შემუშავებული, სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. **ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლა ასევე ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში და USAID-ის საბაზო განათლების პროექტში, მასწავლებლებს გააზრებული აქვს თუ შეფასების ინსტრუმენტები, მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სტრატეგიული გეგმა, სადაც გაწერილია ზოგადად განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს ვერიფიკაციის დებულება. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: „სკოლაში ვახდენთ შეფასების სიზუსტის დადგენას, გვაქვს მექანიზმები, რომელიც ხელს უწყობს შეფასების სისტემის ხარისხის დადგენას,

ძირითადად ეს არის სემესტრული გამოცდების მოთხოვნების შესწავლა, კათედრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მშობელთა უკუკავშირი. **ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქმისწარმოების დებულების თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის ოქმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლის შეფასების სტრატეგიული გეგმა
- სასწავლო პროექტები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტები: მადიებლის თვითშეფასება, სასწავლო გეგმა რომელშიც გაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სწავლა-სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტირები, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო.

სკოლის მიერ შემუშავებული სწავლა - სწავლების მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეებში ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარების აუცილებლობას.

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას. სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს სოლიდარობის განცდის, განსხვავებულის მიმღებლობისა და საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების ღირებულებები. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი მახასიათებლებით და ეს გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ სასწავლო პროცესი იყოს ინტერაქციული და მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს და მის კავშირს სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებასთან. კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ შედგენილი საგნობრივი პროგრამები აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდის საშუალებას.

სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე. კათედრების მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს.

აღსანიშნავია, რომ სკოლას არ გააჩნია სააქტო დარბაზი თუმცა აქვს ორი დიდი სივრცე სადაც ტარდება სასკოლო ღონისძიებები. ასევე არ გააჩნია სპორტული დარბაზი, აქვს მხოლოდ სპორტული მოედანი სკოლის ეზოში, როგორც ინტერვიურებისას აღნიშნეს ცუდ ამინდებში სკოლის გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს საბაზო საფეხურზე ყველა საგნის კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება და მოდიფიცირებული სწავლების მეთოდის აქტიურად გამოყენება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზრუნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაცია, სოციალურ მუშაკებთან ინფორმაციის გაზიარება გამოსავლის მოძებნის მიზნით, პრობლემებთან ჩაღრმავება იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით.

სწავლების საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია, დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. უვითარებს მოქალაქეობისა და პასუხისმგებლობის თვისებებს და ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო, ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.

სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი სადაც საბაზო საფეხურის მოსწავლეებია გაერთიანებული, კლუბის მიზანი: სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა; შემოქმედ მოსწავლეთა უნარების აღმოჩენა და განვითარება; მოსწავლეთა ინიციატივებით ღონისძიებების და პროექტების დაგეგმვა-განხორციელება; სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და აქტიური მოქალაქის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. წარმოდგენილია კლუბის მუშაობის სამოქმედო გეგმა.

სკოლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოიყენება შესაბამისი და მრავალფეროვანი წყაროები, რაც განსაზღვრულია საგნობრივ კურიკულუმებში. წარმოდგენილი მე-12 დოკუმენტით ირკვევა, რომ სკოლა ეცდება კიდევ უფრო დახვეწოს სასწავლო კურიკულუმები. **ინდიკატორი 2.2.3.2. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი,

მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლა ახორციელებს მშობლებთან თანამშრომლობის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (ანკეტური გამოკითხვა, მშობლის უკუკავშირი). მშობლები აქტიურად არიან ჩართული და დახმარებას უწევენ მოსწავლეებს საკლუბო და საპროექტო საქმიანობაში, კერძოდ ლიდერობის კუთხით დემოკრატიული კულტურა მიმართულებით განხორციელებული პროექტი „თორმეტი ნაფიცი მსაჯული“ (სიმულაციური სასამართლო პროცესი) მონაწილე მოსწავლეთა კოსტუმები მშობლების მიერ იქნა დამზადებული.

ინტერვიუს შედეგადაც გამოვლინდა, რომ კათედრის წევრებს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკუთხეებთან დაკავშირებით.

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თვითმმართველობასთან ერთად გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს მოსწავლეთა წახალისების მიზნით.

სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სასკოლო გეგმის ანალიზით ირკვევა, რომ კათედრები იკრიბებიან რეგულარულად მნიშვნელოვან საკითხებზე სამსჯელოდ და გადაწყვეტილებების მისაღებად. კათედრები თავიანთ ფუნქციებს შორის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად გამოკვეთენ საგნობრივი ჯგუფების და მასწავლებლების კოორდინირების განხორციელებას. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივ ძიებას. სკოლაში ცალკეული კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ სხვა კათედრებთან თემატიკის შეთანხმებასა და გაკვეთილის ინტეგრირებაზე. **ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე. რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, კერძოდ: შეფასების სისტემა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად; ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა არის გაუმჯობესების მეტი მზაობა. მაგალითად, მუსიკასა და სახვით ხელოვნების მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ ინტეგრირებულ საკლასო და სასკოლო

ღონისძიებებს, მაგრამ როგორც აღნიშნეს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო გეგმა;
- თვითშეფასების დოკუმენტი.
- კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- შეჯამების ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
- პროექტები, ფოტომასალა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორციელების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს. **ინდიკატორი 2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გაანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, ანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას, შეაქვტ ცვლილებები კურიკულუმში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც იკითხება რომ, დირექტორი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის ბოლოს მომდევნო სასწავლო წლისათვის ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, სემესტრში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლაში სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და მოსწავლის შემდგომი განვითარებისათვის. სკოლა დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. **ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- მასწავლებლის თვითშეფასების დოკუმენტი
- კათედრის სამუშაო შეხვედრების ოქმები
- შემაჯამებლის ანალიზი
- შეფასების რუბრიკები(განმავითარებელი/განმსაზღვრელი)

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით(კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. **ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იგეგმება ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, თვითშეფასების, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. **ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალისწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიუს დროს დაფიქსირდა და თვითშეფასების ფორმაშიცაა ასახული, რომ სკოლას აქვს გარკვეული ხედვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, სადაც აღწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის რევიზია. სკოლა გეგმავს კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლასა და მონაცემების მოგროვებას. და როდესაც მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, საგნობრივი კათედრები

შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს – გაკვეთილებზე დაკვირვებას, მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებული შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს), სკოლა მზადაა შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. ამ მიზნით მასწავლებლები იკრიბებიან კათედრებზე გამოცდილებისა და მიგნებების გაზიარების მიზნით. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას. **ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კოლეგების თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი. და მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის გადამუშავებისა და განახლებისას გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია. გადამუშავებული კურიკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ საკუთარ, ისე კოლეგათა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. პედაგოგები ინტერვიუს დროს საუბრობენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს განიხილავენ კათედრაზე, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. ამ მიდგომით 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;



2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
3. სკოლის წლიური სამუშაო გეგმა
4. სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდოლოგიური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით;

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მომავლისთვის გაწერილი აქვთ მეთოდოლოგიაში ის ინსტრუმენტები, რითაც მეტი სიზუსტით დაადგენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საშუალო საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოსაყრელად. პედაგოგებმა

აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ იმ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებმაც სათანადო შედეგი ვერ მოიტანა კლასისთვის და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები, კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები და რეფლექსიები).

ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. **ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



4. კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, ხოლო გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯარო სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები, შესაბამისად **ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა კრების ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა რა მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ათვლის წერტილს წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნები, სასწავლო შედეგები და მოსწავლის პიროვნული განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა საგნებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება. ავტორიზაციის მასალებში ასხული საგნობრივი კურიკულუმი/ები გააზრებულადაა შემუშავებული და ყველა სამიზნე ცნება არის ასახული. თუმცა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი გამოვლინდა სხვადასხვა საგანში. საშუალო საფეხურის კურიკულუმები პროექტებია/სამუშაო ვერსიებია და ხარვეზები გამოსწორებადია ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. ვიზიტის დროს სკოლას არ ქონდა მე-11 კლასის კურიკულუმების სამუშაო ვერსიები წარმოდგენილი, შესაბამისად კათედრის წევრებს ექსპერტების მხრიდან მიეცათ რჩევა, რომ მე-11 კლასის კურიკულუმები შემუშავდეს 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე; დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია შემდეგი ველები: სავალდებულო თემები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნება და ქვეცნებები, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. კომპლექსური დავალებები მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსებით ხელს შეუწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) უნარის გააქტიურებას, წახალისებას, გაცნობიერებასა და გააზრებულობას. მე-10 კლასის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება. მაგალითად, ბიოლოგიაში ცილების მნიშვნელობის გადმოცემა, პრეზენტაცია PowerPoint-ის ფორმატში (თემა: „უჯრედის ბიოლოგია“), ფიზიკაში ელექტროსკოპის მოდელის შექმნა და მისი საშუალებით დამუხტვა-განმუხტვის პროცესის შესწავლა და ამ პროცესის თვისობრივი და რაოდენობრივი პარამეტრებით დახასიათება (თემა: „ელექტროსტატიკა“). დავალების შესრულებისას მოსწავლე გამოიყენებს დასწავლის სხვადასხვა სტრატეგიას. საშუალო საფეხურის კურიკულუმი/ები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები), ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. ავტორიზაციის მასალებში წარმოდგენილ 2023-2030 სასწავლო წლის ხედვაში აკადემიური საქმიანობის მიმართულებით აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე დაფუძნებულ კურიკულუმების შემუშავებასა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვაზე. გასული 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში კი ვკითხულობთ, რომ სკოლა ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას: საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მიღწეული შედეგი; გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები.

საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა სწავლის პროცესის შეფასება, ცოდნის თვითშეფასებისა და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად განაპირობებს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას. შედეგად, დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. საშუალო საფეხურზე ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში საგნების შესაბამისად მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები. მათ უკვე წარმოადგინეს ტრენინგის ფარგლებში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საშუალო საფეხურზე რამდენიმე საგანში. ეს ერთგვარი წინაპირობაა იმისა, რომ ახლებური ფორმატით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავების. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა სწავლის პროცესის შეფასება, ცოდნის თვითშეფასებისა და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად განაპირობებს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, **ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. წარმოდგენილი კურიკულუმების, თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების, მასწავლებლებთან ინტერვიუებისა და კათედრის სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კურიკულუმის დაგეგმვი პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც გულისხმობს მასწავლებლების მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების გადამუშავებას და წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმში გაუმჯობესებული ვერსიის ასახვას. აგრეთვე თანახმად კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიისა მასწავლებლები ითვალისწინებენ: გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზსა და შეფასებას; მასწავლებელთა თვითშეფასებას; კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს; კლუბური და საწრეო მუშაობის განხორციელების პროცესისა და შედეგების ანალიზს; პროექტების განხორციელების შედეგების ანალიზსა და რეფლექსიას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს და **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები
- მასწავლებელი თვითშეფასება;
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, რაც ხელს შეუშლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებს სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო).

(საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2 კომპონენტთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 9/21/2023-9/15/2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებასთვის.

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;



4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სასწავლო პროცესში შეთავაზებულია ისეთ აქტივობები, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამდგომარეობით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს. სასურველია, სამივე საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩოები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება საშუალო საფეხურის კლასებში სარეკომენდაციო თემების, მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები

გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, „გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე.

ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. თემატურ მატრიცებში წარმოდგენილი აქტივობები და საკვანძო შეკითხვები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე. მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა აქტივობებს, რათა მოსწავლემ თავად შეიმეცნოს ახალი იდეები, შეძლოს მოცემული ინფორმაციის დახარისხება საჭირო მონაცემების ამოკრება და სწორი გადაწყვეტილების გამოტანა. კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესები სწორედ სწავლის-სწავლაზე არის ორიენტირებული რათა გათვალისწინებულია მოსწავლი შინაგანი მოტივაციის ზრდის აქტივობები, ამ პროცესებში ხელისშემწყობია დიფერენცირების სწავლების მიდგომები, სადაც ხდება სასწავლო მასალის დიფერენცირება, დროის, რესურსების. სასწავლო კურიკულუმებში ძირითადად აქცენტი კეთდება სწავლა-სწავლების მართებულ ხერხებსა და მიდგომებზე. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე. სასწავლო პროცესში ძირითადი აქცენტი კეთდება სწავლის სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიანთ მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მასწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, ამისთვის უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა მათემატიკურ სქემას.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. გამოხატული მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს. გამომდინარე აქედან, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). მასწავლებელთა პორტფოლიოებში ასახული მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებებიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ააქტიურებს სამივე სახის ცოდნას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში და სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ საგაკვეთილო პროცესში ცდილობენ აქტიურად დანერგონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპები და მათ შორის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ცალკეულ საგნებში კურიკულუმის ჩარჩოს სამომავლოდ დახვეწის საფუძველზე შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; (დრაფტ-ვერსია)
- დაწყებითი კლასების კურიკულუმი;
- კათედრის ოქმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გეგმის ნიმუში

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს (X და XII კლასები) მიხედვით და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, ერთობლივად ხდება კურიკულუმებზე მუშაობა, განხორციელებული კომპლექსური დავალებების გაანალიზება და კურიკულუმების შერჩევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლთა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება

სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება და კავშირი სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. გასაუბრებისას დაასახელეს დავალებები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს, მოსწავლემ, ერთი მხრივ, მიიღოს კონკრეტული ცოდნა, მეორე მხრივ, განაზოგადოს და განსხვავებულ კონტექსტებშიც გადაიტანოს ის. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, რაც მოტივაციას ზრდის და თავდაჯერებულობას მმატებს მოსწავლეს. მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ „მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ხელს უწყობენ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, აგრეთვე არაფორმალური განათლების ფარგლებში: პროექტებით, კლუბური და საწრეო საქმიანობით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში.“ **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ კუთხით ბევრი აქვთ სამუშაო. ამიტომ ისე დაგეგმავენ კომპლექსურ დავალებებს, რომ სისტემა იძლეოდეს შესაძლებლობას ხელი შეუწყოს მოსწავლის

ყოველმხრივ განვითარებას. მათემატიკა, ისტ და საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმიდან ვკითხულობთ: „მასწავლებლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ფარგლებში გათვალისწინებული შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებით ეტაპობრივად დაინერგება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის პრინციპებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც სკოლის თითოეული მოსწავლის მიღწევები აღიწერება სამიზნე ცნებებთან მიმართებით კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, მოსწავლეებმა იციან თუ რაში შეფასდებიან ისინი, ამას მოწმობს არსებული რუბრიკები, რომელთა შესახებ მათ წინასწარ იციან. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, „სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კრიტერიუმი და რუბრიკები არის გამჭვირვალე, იგი ცნობილია მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის“ ინტერვიუში განაცხადეს, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრას წარუდგენს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაციას, რომელშიც მოცემულია დავალების ნომერი, პირობა და საგნის სტანდარტის ის შედეგი, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული დავალება. ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული რამდენიმე დავალების ნიმუში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, რომელიც წინასწარაა შემუშავებული, სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. **ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სტრატეგიული გეგმა, სადაც გაწერილია ზოგადად განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს ვერიფიკაციის დებულება. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: „სკოლაში ვახდენთ შეფასების სიზუსტის დადგენას, გვაქვს მექანიზმები, რომელიც ხელს უწყობს შეფასების სისტემის ხარისხის

დადგენას, ძირითადად ეს არის სემესტრული გამოცდების მოთხოვნების შესწავლა, კათედრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მშობელთა უკუკავშირი. **ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქმისწარმოების დებულების თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის ოქმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლის შეფასების სტრატეგიული გეგმა
- სასწავლო პროექტები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტები: მადიებლის თვითშეფასება, სასწავლო გეგმა რომელშიც გაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სწავლა-სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტირები, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო.

სკოლის მიერ შემუშავებული სწავლა - სწავლების მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეებში ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარების აუცილებლობას.

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას. სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს სოლიდარობის განცდის, განსხვავებულის მიმღებლობისა და საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების ღირებულებები. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი მახასიათებლებით და ეს გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების პროცესში. ჯგუფური მუშაობის აქტიური გამოცდილება განსაკუთრებით გამოიკვეთა საშუალო საფეხურის იმ საგნებში რომელშიც პროექტული სწავლებაა. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ სასწავლო პროცესი იყოს ინტერაქციული და მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს და მის კავშირს სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებასთან. კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ შედგენილი საგნობრივი პროგრამები აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდის საშუალებას.

სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე. კათედრების მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს.

აღსანიშნავია, რომ სკოლას არ გააჩნია სააქტო დარბაზი თუმცა აქვს ორი დიდი სივრცე სადაც ტარდება სასკოლო ღონისძიებები. ასევე არ გააჩნია სპორტული დარბაზი, აქვს მხოლოდ სპორტული მოედანი სკოლის ეზოში, როგორც ინტერვიუებისას აღნიშნეს ცუდ ამინდებში სკოლის გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი 2.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე მე-10 და მე-12 კლასების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება და მოდიფიცირებული სწავლების მეთოდის აქტიურად გამოყენება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზრუნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაცია, სოციალურ მუშაკებთან ინფორმაციის გაზიარება გამოსავლის მოძებნის მიზნით, პრობლემებთან ჩაღრმავება იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით.

სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი სადაც საშუალო საფეხურის მოსწავლეებია გაერთიანებული, კლუბის მიზანი: სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა; შემოქმედ მოსწავლეთა უნარების აღმოჩენა და განვითარება; მოსწავლეთა ინიციატივებით ღონისძიებების და პროექტების დაგეგმვა-განხორციელება; სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და აქტიური მოქალაქის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. წარმოდგენილია კლუბის მუშაობის სამოქმედო გეგმა. სწავლების საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია, დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. უვითარებს მოქალაქეობისა და პასუხისმგებლობის თვისებებს და ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო, ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.

სკოლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოიყენება შესაბამისი და მრავალფეროვანი წყაროები, რაც განსაზღვრულია საგნობრივ კურიკულუმებში. წარმოდგენილი მე-12 დოკუმენტით ირკვევა, რომ სკოლა ეცდება კიდევ უფრო დახვეწოს სასწავლო კურიკულუმები. **ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლა ახორციელებს მშობლებთან თანამშრომლობის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (ანკეტური გამოკითხვა, მშობლის უკუკავშირი). მშობლები აქტიურად არიან ჩართული და დახმარებას უწევენ მოსწავლეებს საკლუბო და საპროექტო საქმიანობაში, კერძოდ ლიდერობის კუთხით დემოკრატიული კულტურა მიმართულებით განხორციელებული პროექტი „თორმეტი ნაფიცი მსაჯული“ (სიმულაციური სასამართლო პროცესი) მონაწილე მოსწავლეთა კოსტუმები მშობლების მიერ იქნა დამზადებული.

ინტერვიუს შედეგადაც გამოვლინდა, რომ კათედრის წევრებს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკუთხეებთან დაკავშირებით.

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თვითმმართველობასთან ერთად გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს მოსწავლეთა წახალისების მიზნით.

სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სასკოლო გეგმის ანალიზით ირკვევა, რომ კათედრები იკრიბებიან რეგულარულად მნიშვნელოვან საკითხებზე სამსჯელოდ და გადაწყვეტილებების მისაღებად. კათედრები თავიანთ ფუნქციებს შორის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად გამოკვეთენ საგნობრივი ჯგუფების და მასწავლებლების კოორდინირების განხორციელებას. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივ ძიებას. სკოლაში ცალკეული კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ სხვა კათედრებთან თემატიკის შეთანხმებასა და გაკვეთილის ინტეგრირებაზე. **ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე. რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, კერძოდ: შეფასების სისტემა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად; ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ შესაბამისად



სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა არის გაუმჯობესების მეტი მზაობა. მაგალითად, მუსიკასა და სახვით ხელოვნების მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ ინტეგრირებულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს, მაგრამ როგორც აღნიშნეს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო გეგმა;
- თვითშეფასების დოკუმენტი.
- კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- შეჯამების ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
- პროექტები, ფოტომასალა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს



1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორციელების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს. **ინდიკატორი**

2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გაანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, ანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას, შეაქვტ ცვლილებები კურიკულუმში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც იკითხება რომ, დირექტორი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის ბოლოს მომდევნო სასწავლო წლისათვის ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, სემესტრში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო

მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლაში სასწავლო პროცესის გასამუმჯობესებლად და მოსწავლის შემდგომი განვითარებისათვის. სკოლა დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. **ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- მასწავლებლის თვითშეფასების დოკუმენტი
- კათედრის სამუშაო შეხვედრების ოქმები
- შემაჯამებლის ანალიზი
- შეფასების რუბრიკები(განმავითარებელი/განმსაზღვრელი)

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით (კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. **ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ

იგეგმება ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, თვითშეფასების, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. **ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალისწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიუს დროს დაფიქსირდა და თვითშეფასების ფორმაშიცაა ასახული, რომ სკოლას აქვს გარკვეული ხედვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, სადაც აღწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის რევიზია. სკოლა გეგმავს კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლასა და მონაცემების მოგროვებას. და როდესაც მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, საგნობრივი კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს – გაკვეთილებზე დაკვირვებას, მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებული შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს), სკოლა მზადაა შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. ამ მიზნით მასწავლებლები იკრიბებიან კათედრებზე გამოცდილებისა და მიგნებების გაზიარების მიზნით. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას. **ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კოლეგების თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი. და მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის გადამუშავებისა და განახლებისას გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია. გადამუშავებული კურიკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ

როგორც კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ საკუთარ, ისე კოლეგათა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. პედაგოგები ინტერვიუს დროს საუბრობენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს განიხილავენ კათედრაზე, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საშუალო საფეხურის (X და XII კლასები) კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. ამ მიდგომით 2023-24 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სკოლის წლიური სამუშაო გეგმა
- სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. კონი

გ. ჩხიკიძე

თ. ლომიძე

მ. მამუკაძე

ნ. ჯორჯაძე

თ. მამუკაძე

ე. გიგინეიძე

რ. ხუციშვილი

ს. მამუკაძე

მ. ანდრეასიძე

ს. მამუკაძე

29.09.2023

თარიღი